

განახლებულია: მმართველი საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის
N 15 დადგენილებით



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს კავკასიის უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესსა და პროცედურას.
2. კვლევითი საქმიანობა მოიცავს:
 - 2.1. **ფუნდამენტურ კვლევას**, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღებას ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში ან უკვე არსებული ცოდნის გამოყენებით რომელიმე პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტად ინოვაციური მიდგომის, მეთოდის, ტექნოლოგიისა და ა.შ. შემუშავებას. იგი მოიცავს კვლევის შედეგების დისემინაციის შემდეგ სახეებს, თუმცა მხოლოდ აღნიშნულით არ შემოიფარგლება:
 - 2.1.1. რეფერირებად გამოცემაში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია;
 - 2.1.2. გამოქვეყნებული მონოგრაფია;
 - 2.1.3. სამეცნიერო წიგნის თანაავტორობა;
 - 2.1.4. სამეცნიერო წიგნის თავის დაწერა;
 - 2.1.5. სამეცნიერო შეხვედრების, კონფერენციების მასალების კრებულში სტატიის გამოქვეყნება;
 - 2.1.6. ნაშრომის წარდგენა სამეცნიერო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კვლევით სემინარზე;
 - 2.1.7. სამეცნიერო გამოცემის, გამოცემის ცალკეული თავების და ქვეთავების რედაქტირება.
 - 2.2. **გამოყენებით კვლევას**, რომელიც მოიცავს შესაბამის სფეროში არსებული სიტუაციის აღწერას, არსებული პრობლემების/საკითხების პრაქტიკული გადაჭრის გზების დადგენას და ახალი ბიზნეს/ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შექმნას. იგი მოიცავს კვლევის შედეგების დისემინაციის შემდეგ სახეებს, თუმცა მხოლოდ აღნიშნულით არ შემოიფარგლება:
 - 2.2.1. სტატიის დაწერა და პროფესიულ ჟურნალში, გაზეთში ან ელ-გამოცემაში გამოქვეყნება;
 - 2.2.2. პროფესიულ ტელე, რადიო ან ონლაინ მედია გადაცემაში კვლევაზე დაფუძნებული შედეგების წარდგენა;
 - 2.2.3. სხვადასხვა ტიპის (ინდუსტრიის, სფეროს, პრობლემატიკის შესახებ) ანგარიშების მომზადება;
 - 2.2.4. პროფესიული წიგნის დაწერა ან თანაავტორობა;
 - 2.2.5. პროფესიული წიგნის თავის დაწერა;
 - 2.2.6. მნიშვნელოვანი წვლილი პროფესიული დარგის განვითარებაში (პროფესიულ ასოციაციაში მონაწილეობა, პროფესიული დასაბუთებული რჩევის და რეკომენდაციების მიცემა, და ა.შ.);
 - 2.2.7. მნიშვნელოვანი პრეზენტაციები სფეროს პროფესიულ შეხვედრებზე-კონფერენციებზე;
 - 2.2.8. პროფესიული წიგნის, პოპულარული წიგნის, ჟურნალის, გაზეთის ან ელ-გამოცემის რედაქტორობა.

2.3. სწავლის, სწავლებისა და პედაგოგიური საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევა-საქმიანობა;

2.3.1. ქეისების (კაზუსების) დაწერა;

2.3.2. სასწავლო გზამკვლევის შექმნა;

2.3.3. სახელმძღვანელოების დაწერა;

2.3.4. სახელმძღვანელოების თარგმნა-რედაქტირება;

2.3.5. სახელმძღვანელოს თავის დაწერა;

2.3.6. სასწავლო მასალის, გზამკვლევის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისთვის საჭირო კვლევა;

2.3.7. ტრენინგის მასალის შექმნა.

3. კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოპოვება შეუძლია დაფინანსების მაძიებელ პირს, რომელიც შეიძლება იყოს ინდივიდუალური მკვლევარი ან მკვლევართა ჯგუფი.
4. დაფინანსების მაძიებელი ინდივიდუალური პირი უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელთანაც გაფორმებული არის კავკასიის უნივერსიტეტის შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციით ნებისმიერი A ტიპის ხელშეკრულება.
5. თუ დაფინანსების მაძიებელი პირი მკვლევართა ჯგუფია, მაშინ კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი (მთავარი მკვლევარი) უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი), რომელთანაც ნებისმიერი A ტიპის ხელშეკრულება არის გაფორმებული. დანარჩენი წევრები შეიძლება იყვნენ სხვა უნივერსიტეტის ან ორგანიზაციის თანამშრომლები, კავკასიის უნივერსიტეტის არააფილირებული აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები ან მაგისტრანტები.
6. კავკასიის უნივერსიტეტთან აფილირებულ აკადემიურ პერსონალს კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების კონკურსის ფარგლებში შეუძლია მოითხოვოს დაფინანსება კვლევისთვის რომელიც არ ფიქსირდება აფილირების შრომით ხელშეკრულების დანართში. იმ კვლევით პროდუქტისთვის, რომელიც აფილირების შრომით ხელშეკრულების დანართში არის დაფიქსირებული დამატებითი დაფინანსება არ გაიცემა.
7. იმ შემთხვევაში, თუ აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აქვს მიმდინარე პროექტი კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში, კონკურსის ფარგლებში ახალი განაცხადის წარმოდგენა შეუძლია მიმდინარე პროექტის დასრულების შემდგომ.

მუხლი 2. დაფინანსების წყარო

1. კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წყაროს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა, რომლის ათვისებაც წლის განმავლობაში ხდება ეტაპობრივად.
2. ამ მიმართულებით გამოყოფილი წლიური ბიუჯეტის ლიმიტის კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის ფინანსური დეპარტამენტი, რომელიც პერიოდულად კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს აწვდის ანგარიშს თანხების გამოყენების შესახებ.
3. ზემოაღნიშნულ ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს ასახული შემდეგი ინფორმაცია:

- 3.1. წლის განმავლობაში კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი გეგმიური ლიმიტები;
- 3.2. ანგარიშის მომზადების თარიღისთვის ფაქტიურ გახარჯვებზე ინფორმაცია;
- 3.3. კვარტლის/წლის ჭრილში გეგმიური და ფაქტიური მონაცემების დადარება;
- 3.4. დარჩენილი ასათვისებელი თანხების შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 3. შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მიღების პროცედურა

1. შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე კვლევითი პროექტების განაცხადების შემოტანა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ:
 - 1.1. 15 ივნისის 09:00 საათიდან - 30 ივნისის 18:00 საათამდე (პასუხი დაფინანსებაზე ცნობილი იქნება 30 სექტემბრამდე)
 - 1.2. 15 დეკემბრის 09:00 საათიდან - 31 დეკემბრის 18:00 საათამდე (პასუხი დაფინანსებაზე ცნობილი იქნება 31 მარტამდე)
2. თითოეულ კვლევით პროექტზე მოსათხოვნი შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მაქსიმალური თანხა (მაქსიმალური ბიუჯეტი) წარმოადგენს 25,000 ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით);
 - 2.1. ჯგუფური კვლევითი პროექტის შემთხვევაში, მაქსიმალური ბიუჯეტის (25 000 ლარის) 30% (7500 ლარი) შეიძლება იყოს მიმართული პროექტში ჩართული პირების ჰონორარებზე (როგორც ხელმძღვანელის, ასევე, ძირითადი და დამხმარე პერსონალის ჯამურად), ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში, არაუმეტეს A დონის სტატიის დარიცხული ანაზღაურებისა.
 - 2.2. კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის, რომელიც არის დაფინანსების მაძიებელი ან, მკვლევართა ჯგუფის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელის (მთავარი მკვლევარის) ჰონორარი განსაზღვრული არის პროექტის შედეგად მიღებული სამეცნიერო პროდუქტით. სამეცნიერო პროდუქტის შექმნისთვის განსაზღვრული ფიქსირებული ანაზღაურება იხილეთ დანართ 1-ში.
 - 2.3. კვლევით პროექტში თანამკვლევარის, ასისტენტის და სხვა დამხმარე პერსონალის ჰონორარი განსაზღვრული არის მათი აკადემიური პოზიციით და თვეში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს:
 - 2.3.1. პროფესორისთვის 750 ლარს;
 - 2.3.2. ასოცირებული პროფესორისთვის 600 ლარს;
 - 2.3.3. ასისტენტ პროფესორისთვის 400 ლარს;
 - 2.3.4. ასისტენტისთვის 382.5 ლარს.
 - 2.4. დაფინანსების მაძიებლის ან, მკვლევართა ჯგუფის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელის (მთავარი მკვლევარის) ჰონორარის არაუმეტეს 70% გაიცემა პროექტის განხორციელების პერიოდში, ხოლო დარჩენილი თანხა პროექტით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულების შემდეგ.
3. თითოეული კვლევითი პროექტის შესრულების და შედეგის მიღების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ხელმძღვანელის აფილირების ხელშეკრულების ვადას (არაუმეტეს 2 (ორ) წელს), ასევე, თუ აფილირებული პერსონალი პროექტის

დასრულებამდე გადაწყვეტს შეწყვიტოს აფილირების ხელშეკრულება უნივერსიტეტთან, ვალდებულია მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში სრულად დააბრუნოს მიღებული დაფინანსება.

4. დაფინანსების მამიებელი პირი შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მისაღებად, მე-3 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ ვადებში, კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს აბარებს დაფინანსების მოპოვებისათვის საჭირო კვლევითი პროექტის დაფინანსების დოკუმენტაციას;
5. კვლევითი საქმიანობის დაფინანსების დოკუმენტაცია მოიცავს:

5.1. კვლევითი პროექტის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების აპლიკაციას (დანართი 2), რომელიც მოიცავს:

- 5.1.1. კვლევითი პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას;
- 5.1.2. კვლევით პროექტში ჩართულ პირთა შესახებ ზოგად ინფორმაციას;
- 5.1.3. კვლევითი საქმიანობის სრულყოფილად შესასრულებლად საჭირო აქტივობების გეგმა, აქტივობების შესრულების დროში გაწერილი გეგმა;
- 5.1.4. კვლევითი საქმიანობის დეტალური ხარჯთაღრიცხვა;

5.2. კვლევითი პროექტის აღწერას (დანართი 3), რომელიც უნდა მოიცავდეს:

- 5.2.1. იმ პრობლემის/საკითხის აქტუალობის აღწერას, რომლის გადაჭრასაც გეგმავს მკვლევარი მოცემული კვლევითი პროექტით;
- 5.2.2. კვლევითი პროექტის მიზნებსა და ამოცანებს;
- 5.2.3. კვლევის მეთოდოლოგიას;
- 5.2.4. კვლევის შედეგად მიღებულ შედეგებს და მათ მნიშვნელობას თეორიისა და/ან პრაქტიკისთვის (ფუნდამენტური კვლევის შემთხვევაში, კვლევითი საქმიანობის შედეგად პოტენციურად მიღებული ახალი ცოდნის, მიდგომის და მისი მნიშვნელობის აღწერა; ხოლო გამოყენებითი კვლევის შემთხვევაში კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის პოტენციალი და პრაქტიკაში გამოყენებადობის შესაძლებლობა);
- 5.2.5. მოცემული კვლევითი პროექტის მიზნების-შედეგების თავსებადობა-რელევანტობის აღწერა შესაბამისი სკოლის და კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან;
- 5.2.6. პროექტის ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციას;
- 5.2.7. კვლევითი პროექტში ჩართულ პირთა (ხელმძღვანელის, მკვლევარების, ადმინისტრაციული პერსონალის) CV-ები ან/და რეზიუმეები;

6. დაუშვებელია დაფინანსების მამიებელი პირი / პირები იყვნენ ჩართულნი კვლევითი საქმიანობის შემფასებელი დროებითი კომისიის საქმიანობაში. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სკოლის დეკანი წარადგენს განაცხადს კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად, კომისიის მუშაობაში მის ნაცვლად მონაწილეობას მიიღებს ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში. ასევე, დაუშვებელია მკვლევართა ჯგუფში იმ პირის ჩართვა, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დაფინანსების გაცემაზე;

7. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი კვლევითი საქმიანობის დაფინანსების განცხადების შესვლის შემდეგ ქმნის კვლევითი საქმიანობის შემფასებელ დროებით

- კომისიას, რომელიც განიხილავს შემოსული კვლევითი პროექტის აქტუალურობას დანართ 4-ში (კვლევითი საქმიანობის დაფინანსების შეფასების კრიტერიუმები) მოცემული კრიტერიუმების მიხედვით და ამზადებს შესაბამის დასკვნას;
8. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი კვლევითი პროექტი თავდაპირველად ეგზავნება შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების გარე ექსპერტს, რომელიც აფასებს კვლევით პროექტს დანართ 4-ში (კვლევითი საქმიანობის დაფინანსების შეფასების კრიტერიუმები) მოცემული კრიტერიუმების მიხედვით და ამზადებს შესაბამის დასკვნას.
 9. გარე ექსპერტის შეფასების საფუძველზე დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კვლევითი პროექტის შემფასებელი დროებითი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან:
 - 9.1. ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში
 - 9.2. ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით;
 - 9.3. დეკანი, რომლის კურატორობის სფეროც მოიცავს მოცემულ კვლევით საქმიანობას;
 - 9.4. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორი;
 - 9.5. ფინანსური დეპარტამენტის დირექტორი;
 10. კვლევითი პროექტის შემფასებელი დროებითი კომისია, და უნივერსიტეტის პრეზიდენტი გამარჯვებული პროექტის წარმდგენებთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, უფლებამოსილი არიან დააკორექტირონ დაფინანსების მაძიებლის მიერ წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტი და აქტივობების შესრულების დროში გაწერილი გეგმა. კვლევითი პროექტის შემფასებელი დროებითი კომისიის დასკვნა ხუთი სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი რეკომენდაციით ელექტრონულად ეგზავნება დაფინანსების მაძიებელ პირს. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორი, თავის მხრივ, ხუთი სამუშაო დღის შემდეგ (თუ დაფინანსების მაძიებელი პირისგან არ შემოვიდა გასაჩივრების განაცხადი), მიმართავს მოხსენებითი ბარათით კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შუამდგომლობით;
 11. თუ დაფინანსების მაძიებელი პირი არ ეთანხმება დროებითი კომისიის დასკვნას, მას აქვს ხუთი სამუშაო დღის ვადა, რათა გაასაჩივროს დასკვნა შესაბამისი განცხადებით კავკასიის უნივერსიტეტის კვლევისა და სტრატეგიული განვითარების ვიცე-პრეზიდენტთან;
 12. კავკასიის უნივერსიტეტის კვლევისა და სტრატეგიული განვითარების ვიცე-პრეზიდენტი შექმნის დროებით სააპელაციო კომისიას, რომელშიც შევლენ:
 - 12.1. კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი
 - 12.2. კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;
 - 12.3. კავკასიის უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი
 - 12.4. ომბუდსმენი
 - 12.5. კვლევითი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ერთი ექსპერტი, რომელიც არ იყო ექსპერტი მოცემული კვლევითი პროექტის შეფასებისას
 13. დროებითი სააპელაციო კომისია განიხილავს საკითხს და გამოიტანს საბოლოო დასკვნას 5 სამუშაო დღის ვადაში, რომელსაც ელექტრონულად უგზავნის დაფინანსების მაძიებელს და კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს დასამტკიცებლად;

14. კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ პროექტის დაფინანსებაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საბოლოო დასტური ეგზავნება ფინანსურ დირექტორს, ასევე უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტებს კვლევისა და სტრატეგიული განვითარების და ადმინისტრაციული და მონიტორინგის დარგში.
15. ფინანსური დეპარტამენტის მიერ ლიმიტების გადამოწმების შემდეგ, გამარჯვებული პროექტები მტკიცდება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით და პროექტის წარმდგენთან ფორმდება ხელშეკრულება. ფინანსური დეპარტამენტი დასაფინანსებელ მკვლევართან/მკვლევართა ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს დაფინანსების მიმღები პირისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფას ხელშეკრულებაში დადგენილი პირობების შესაბამისად;
16. იმ შემთხვევაში, თუ დასაფინანსებელი აქტივობა, მოიცავს რამოდენიმე ეტაპს, გამოყოფილი თანხა გაიცემა ტრანშებად წინასწარ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სადაც გაიწერება მხარეთა უფლება-მოვალეობანი;
17. დაფინანსების მიმღები პირი პასუხისმგებელია პროექტის წარმატებით მიმდინარეობაზე და მიღებული დაფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე.

მუხლი 4: კვლევითი საქმიანობის მონიტორინგი

1. კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი.
2. დაფინანსების მიმღები პირი ვალდებულია კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობის ანგარიში წარუდგინოს უნივერსიტეტს (დაფინანსების გამცემს) და მკვლევარს (დაფინანსების მიმღებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებითა და მისი დანართით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აფასებს პროექტის მიმდინარეობას და ადგენს შესაბამის დასკვნას.
4. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, კვლევითი პროექტის შემფასებელი დროებითი კომისიის თანხმობით, საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსების მიმღებ პირთან ერთად ახდენს პროექტის გადახედვას მისი ეფექტურად და წარმატებით შესრულებისთვის;
5. კვლევის დასრულების შემდეგ, დაფინანსების მიმღები პირი წერს საბოლოო ანგარიშს, რომელიც მოიცავს:
 - 5.1. განაცხადში გაწერილი მიზნებისა და შედეგების მიღწევის შესახებ ინფორმაციას;
 - 5.2. ფინანსურ ანგარიშს, გამოყოფილი თანხების გახარჯვის მოკლე აღწერას.
6. დაფინანსების მიმღები პირის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშის საფუძველზე კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორი და ფინანსური დირექტორი შესრულებული პროექტის შესახებ საბოლოო დასკვნას ელექტრონულად უგზავნიან ვიცე-პრეზიდენტს კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ადასტურებს ასევე სკოლის დეკანი, თუ კვლევითი პროექტის მიზანს სასწავლო მასალების შექმნა წარმოადგენდა.

მუხლი 5: დამატებითი მოთხოვნები

1. იმ შემთხვევაში, თუ კვლევითი პროექტის შედეგი არის სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, აღნიშნული ჟურნალი უნდა შეესაბამებოდეს საუნივერსიტეტო რანჟირებით დადგენილ „C“, „B“ ან „A“ დონეს.
2. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევის შედეგის გამოქვეყნება იგეგმება თანაავტორობით და თანაავტორი არ არის კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი, მათ ინსტიტუციურ აფილირებაში შეუძლიათ მიუთითონ მხოლოდ კავკასიის უნივერსიტეტი.
3. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში იგეგმება სასწავლო მასალის (სახელმძღვანელო, მცირე ქეისი...) მომზადება, კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილ პროექტს უნდა ახლდეს შესაბამისი სკოლის დეკანის დასტური, რომ არსებობს ამ სასწავლო მასალის შექმნის საჭიროება, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ, შესაბამისი სკოლის დეკანმა დაადასტუროს, რომ შექმნილი მასალა ჩართულია სასწავლო კურსის სილაბუსში.

დანართი 1. სამეცნიერო პროდუქტის შექმნისთვის განსაზღვრული ფიქსირებული ანაზღაურება

კვლევის შედეგი	ანაზღაურება (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით)
"C დონის" სამეცნიერო სტატიის დაბეჭდვა/თანხმობის წერილის მიღება	2,295.00 ლ
"B დონის" სამეცნიერო სტატიის დაბეჭდვა/თანხმობის წერილის მიღება	3,187.50 ლ
"A დონის" სამეცნიერო სტატიის დაბეჭდვა/თანხმობის წერილის მიღება	5,737.50 ლ
A კატეგორიის სამეცნიერო კონფერენციაზე თემის წარდგენა და მათ მასალებში სტატიის გამოქვეყნება (რომელსაც აქვს ISSN / ISBN სერიული ნომერი)	765.00 ლ
B კატეგორიის სამეცნიერო შეხვედრებსა თუ კონფერენციაზე თემის წარდგენა და მათ მასალებში სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციაზე თემის წარდგენა (რომელსაც აქვს ISSN / ISBN სერიული ნომერი)	510.00 ლ
ქეისის/კაზუსის (Teaching Notes) შედგენა	1,275.00 ლ
მცირე ქეისის/კაზუსის შედგენა	510.00 ლ

თუ ქეისი მიღებულ იქნა ჰარვარდის, MIT, INSEAD, EMERALD-ის ქეისის რეპოზიტორში	3,825.00 ლ
თუ მცირე ქეისი თუ მიღებულ იქნა ჰარვარდის, MIT, INSEAD, EMERALD-ის ქეისის რეპოზიტორში	1,912.50 ლ
ლექსიკონის მომზადება; ანგარიშის მომზადება; მონოგრაფიის მომზადება; სახელმძღვანელოს მომზადება	2,295.00 ლ - 3,187.50 ლ (გამომცემლობის პრესტიჟის გათვალისწინებით)